

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მამკოდას განაშენიანების გეგმის (სააგარაკე-საცხოვრებელი უბნის მოწყობა) კონცეფციის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის დასკვნა

სტრატეგიული დოკუმენტის სახელწოდება: მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მამკოდას განაშენიანების გეგმის (სააგარაკე-საცხოვრებელი უბნის მოწყობა) კონცეფცია;

დამგეგმავი ორგანო: მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია;

სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების ადგილი: მცხეთის მუნიციპალიტეტი;

განაცხადის შემოსვლის თარიღი: 02.12.2024

2024 წლის 2 დეკემბერს, მცხეთის მუნიციპალიტეტის მიერ სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილ იქნა მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მამკოდას სივრცის დაგეგმარების გეგმის (სააგარაკე-საცხოვრებელი უბნის მოწყობა) კონცეფცია და სკოპინგის განცხადება.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ შესაბამისად, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა უზრუნველყო წარმოდგენილი მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მამკოდას სივრცის დაგეგმარების გეგმის კონცეფციისა და სკოპინგის განცხადების (თანდართული დოკუმენტაციით), როგორც გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე განთავსება (<https://ei.gov.ge/ka/info/78707978-2089-4793-b8ae-4dffe095b5bf>), ასევე დოკუმენტაციის გაგზავნა მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით.

სკოპინგის განცხადება მოიცავს ინფორმაციას, როგორც დამგეგმავი ორგანოს შესახებ, ასევე სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასებით გათვალისწინებული პროცედურების თაობაზე.

წარმოდგენილი სტრატეგიული დოკუმენტის მიზანია განაშენიანების არქიტექტურულ-გეგმარებითი და სივრცით-მოცულობითი მახასიათებლების განსაზღვრა.

სგშ-ის სკოპინგის განცხადებაში წარმოდგენილია ინფორმაცია სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების არეალის (მამკოდას) გარემოს ზოგადი აღწერა, კერძოდ: დახასიათებულია მუნიციპალიტეტის ფიზიკური გარემო-პირობები, მათ შორის - კლიმატის, გეოლოგიური პირობების და მიმდებარედ არსებული დაცული ტერიტორიების შესახებ. აღწერილია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები და ობიექტები.

სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების არეალი მდებარეობს მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ მამკოდაში, რომელიც მოიცავს ფ/პ გელა გამჯაშვილის საკუთრებაში არსებულ 20 ნაკვეთს (188 225 კვ.მ.) და მიმდებარედ არსებული დაურეგისტრირებელ მიწის ნაკვეთებს (8333 კვ.მ.) (ჯამური ფართობით - 196558 კვ.მ-ს).

დოკუმენტის თანახმად, გეგმარებითი ტერიტორია მდებარეობს მდინარე გლდანისხევის მარცხენა სანაპიროზე და ესაზღვრება თბილისს. უახლოესი დასახლებული პუნქტია სოფელი მამკოდა. ტერიტორიას გააჩნია ერთი მისასვლელი, გამჭოლი გზა (გრუნტის), რომელიც იწყება შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზიდან (შ-30 თბილისი (გლდანი)-თიანეთი) და მიემართება მამკოდის მამათა მონასტრისკენ.

დოკუმენტის თანახმად, სკოპინგის ანგარიშში განხილულია უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივა, რაც გულისხმობს სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებაზე უარის თქმას. გეგმარებითი ტერიტორია წარმოადგენს უშენ ტერიტორიას - ყოფილ საძოვარს, ხოლო მიზნობრივი დანიშნულებით - სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწას. ამასთან, დოკუმენტის თანახმად, მისი გამოყენება არ ხდება სოფლის მეურნეობის, ან ტურისტული და რეკრეაციული მიზნებისთვის. სკოპინგის განცხადების თანახმად, სგშ-ის ანგარიშში განხილული იქნება გეგმარებითი, გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური ალტერნატივები. გაანალიზდება გეგმარების ალტერნატივები, წარმოდგენილი იქნება კონკრეტული დარგების და საქმიანობების ალტერნატივები და თითოეული განხილული ალტერნატივის სხვადასხვა გარემოსდაცვით პარამეტრებზე ზემოქმედების ხარისხობრივი ანალიზი.

დოკუმენტის თანახმად, გეგმარებით არეალზე გამოიყო სამშენებლო და არასამშენებლო ტერიტორიები, დადგინდა ზოგადი და კონკრეტული ზონები. ზოგადი საცხოვრებელი ზონა (სზ) ქვეზონით - სააგარაკე-საცხოვრებელი ზონა (სზ-1), სადაც დომინირებს სეზონური დასასვენებელი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები, ასევე ნებადართულია სარეკრეაციო სივრცეები და მათი ფუნქციონირებისათვის საჭირო შენობა-ნაგებობები. შერეული ზონა (შზ)-ის სასოფლო-სამოსახლო ზონა (შზ-1) ქვეზონით, სადაც დასაშვებია საცხოვრებელი ქვეზონისთვის შესაბამისი საზოგადოებრივი და სამეწარმეო ობიექტები. საცხოვრებელი ზონა (სზ-1) მოიცავს საშუალოდ 500 კვ.მ ფართის მიწის ნაკვეთებს და მათზე პრემიუმ კლასის, ერთბინიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანებას. სახლების მაქსიმალური ფართობი - 350 კვ.მ. კომერციული ზონა (შზ-5) კომერციულ/გამაჯანსაღებელ ზონაში განთავსებული იქნება: სასტუმრო აპარტამენტები 60-80 ადამიანზე, სპორტული მოედნები (მინი ფეხბურთი, ტენისი, პადელი, მინი გოლფი), საბავშვო პარკი, საბავშვო ბაღი, საცურაო აუზი, ღია კაფე და ავტოსადგომი.

დოკუმენტის თანახმად, ტერიტორიას უშუალოდ ემიჯნება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები და სრულად არის გარშემორტყმული დაცული ტერიტორიით - თბილისის ეროვნული პარკით.

სკოპინგის განცხადების თანახმად, საპროექტო ნაკვეთების მიმდებარედ განთავსებულია შპს „საქართველოს ბუნებრივი გაზის გადამცემი ქსელის მესაკუთრის“ საკუთრებაში არსებული შემდეგი ინფრასტრუქტურა: "საგურამო-ნავთლულის" მაგისტრალური გაზსადენი დ=700 მმ (ს/კ 72.00.359); • "ყაზახ-საგურამოს" დ=1000მმ მაგისტრალური გაზსადენი (ს/კ 72.00.706).

სკოპინგის განცხადების თანახმად, განაშენიანების ეტაპზე წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების მართვის მიზნით დაგეგმილია ინდივიდუალური გამწმენდი სისტემების დაყენება, გაწმენდილი წყლები შეიკრიბება ავზში და ჩაშვება მოხდება მდ. გლდანისხევაში. განაშენიანების ეტაპზე საპროექტო ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების მართვის

მიზნით დაგეგმილია სანიაღვრე წყლების შემკრები სისტემის მოწყობა. განაშენიანების ეტაპზე გაზომმარაგება გათვალისწინებული არ არის, კომპლექსის სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის გათვალისწინებულია ელექტროენერგიით მომარაგება. საპროექტო ტერიტორიაზე ელექტროენერგიის მიწოდება მოხდება მიწისქვეშა კაბელებით უახლოესი ელექტრომომარაგების ქვესადგური ქ/ს "გლდანი 220" -დან.

დოკუმენტის თანახმად, საპროექტო ტერიტორია გაუნაშენიანებელია და ხასიათდება ქანობიანი რელიეფით, რომელიც ვითარდება აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ. ტერიტორია მოქცეულია ნოტიო სუბტროპიკული ჰავის ოლქში, ჰავა ზომიერად ნოტიოა, ცხელი ზაფხულითა და ცივი ზამთრით.

ვინაიდან, სტრატეგიული დოკუმენტით გათვალისწინებული არეალი მდებარეობს თბილისის ეროვნული პარკის მიმდებარედ, დოკუმენტში მოცემულია ინფორმაცია ეროვნულ პარკში გავრცელებული ბიომრალფეროვნების, მათ შორის „წითელი ნუსხით“ დაცული სახეობების შესახებ.

სკოპინგის განცხადების თანახმად, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს მდინარე გლდანისხევის წყალშემკრებ აუზში. მდ. გლდანისხევის ხანგრძლივი ინტენსიური წვიმების შედეგად ახასიათებს წყალდიდობები, საშიშროების რისკის თვალსაზრისით კი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ღვარცოფები. დოკუმენტის თანახმად, საკვლევ ტერიტორიაზე აქტიური და საშიში გეოლოგიური პროცესები არ ფიქსირდება. მიმდებარე ტერიტორიის ძირითადი ნაწილი დაფარულია მცენარეულობით და ფერდობები სტაბილურ მდგომარეობას ინარჩუნებენ. საყურადღებოა შესასწავლი ფართობის აღმოსავლეთით მოსაზღვრე მცირე ხევი, რომელიც ძირითადად მშრალია და ინტენსიური ნალექის შემთხვევაში შეიძლება მცირე მასშტაბის ღვარცოფი განვითარდეს. აღნიშნული ხევი, კალაპოტის ჰიფსომეტრიულად დაბლა მდებარეობისა და ობიექტიდან საკმაო დაშორების გამო საფრთხეს ვერ შეუქმნის საპროექტო ტერიტორიას. მოსაზღვრე ტერიტორიებზე აღწერილი საშიში გეოლოგიური მოვლენებიდან აღსანიშნავია მამკოდის მეწყერი, რომელიც საკვლევ ფართობის მოპირდაპირედ, მდინარის მარჯვენა მხარეს მდებარეობს.

სკოპინგის განცხადების თანახმად, სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებამ გარემოს კომპონენტებზე შესაძლოა იქონიოს როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი ზემოქმედება. მოსალოდნელი ზემოქმედება შესაძლოა იყოს დადებითიც და უარყოფითიც. უარყოფითი ზემოქმედების ხარისხი დამოკიდებული იქნება სტრატეგიული დოკუმენტის სპეციფიკაზე, მის განხორციელების ხანგრძლივობაზე და გარემოს კომპონენტების მგრძობელობის ხარისხზე.

დოკუმენტში წარმოდგენილია სგშ-ის ეტაპზე ჩასატარებელი კვლევების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის არსებული გეოლოგიური გარემოს შესწავლა და საინჟინრო-გეოლოგიური და ჰიდროლოგიური პირობების შეფასება, ბიოლოგიური გარემოს კვლევა ფაუნისტური და ფლორისტული მიმართულებით და ა.შ.

მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მამკოდას განაშენიანების გეგმის კონცეფციის სგშ-ის სკოპინგის განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია განხილვის მიზნით გაეგზავნა სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოს და სსიპ კულტურული მემკვიდრეობის

დაცვის ეროვნულ სააგენტოს. სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს ცნობით, საპროექტო ტერიტორიაზე არ მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლები და იგი არ ექცევა რომელიმე ძეგლის ინდივიდუალურ დამცავ ზონაში. შესაბამისად, მასზე არ ვრცელდება „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით ძეგლის დამცავ ზონაში მოქმედი სამართლებრივი რეჟიმი, ხოლო სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოს ინფორმაციით, მოცემულ ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის საბადო და წიაღითსარგებლობის ლიცენზიები არ ფიქსირდება. საზოგადოების მხრიდან სტრატეგიული დოკუმენტის თაობაზე შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ წარმოდგენილა.

სგშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი:

1. **სგშ-ის ანგარიში** უნდა მოიცავდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 26-ე მუხლით დადგენილ ინფორმაციას.
2. **სგშ-ის ანგარიშში** წარმოდგენილი უნდა იყოს სკოპინგის განცხადებაში მითითებული (განსაზღვრული, ჩასატარებელი) კვლევების შედეგები, მოპოვებული და შესწავლილი ინფორმაცია.
3. **სგშ-ის ანგარიშში** წარმოდგენილი უნდა იყოს სტრატეგიული დოკუმენტისთვის საკვანძო გარემოსდაცვითი საკითხები და სგშ-ის პროცესში შესწავლილი ზემოქმედებები.
4. **სგშ-ის ანგარიშში** უნდა შეფასდეს გეგმის სხვადასხვა სექტორულ და მულტისექტორულ სტრატეგიულ დოკუმენტებთან კავშირი, მათ შორის პოლიტიკის მიზნებიდან გამომდინარე შეფასება.
5. **სგშ-ის ანგარიშში** წარმოდგენილი უნდა იყოს სტრატეგიული დოკუმენტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების საანგარიშო პერიოდი.
6. **სგშ-ის ანგარიშში** უნდა იყოს განხილული სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით გარემოს ყველა კომპონენტზე (მათ შორის ბიომრავალფეროვნებაზე) შესაძლო ზემოქმედების შესახებ უარყოფითი ზემოქმედების ხარისხი და წარმოდგენილი უნდა იყოს იმ ღონისძიებების ჩამონათვალი, რომელიც დაგეგმილია ზემოქმედების თავიდან აცილების, შერბილებისა და კომპენსირებისათვის.
7. **სგშ-ის ანგარიშსა** და სტრატეგიულ დოკუმენტში საჭიროა, განხილული იყოს ინფორმაცია სივრცითი კატეგორიების (ბუნებრივი ლანდშაფტი, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტერიტორიები, დასახლებული ტერიტორიები) ფუნქციების, დადგენილი შეზღუდვების და ნებადართული საქმიანობების შესახებ.
8. **სგშ-ის ანგარიშის** გეოლოგიური ნაწილი წარმოდგენილი უნდა იყოს ქვეთავების სახით, შემდეგი თანმიმდევრობით: რელიეფი (გეომორფოლოგია); გეოლოგიური აგებულება; სეისმური პირობები; ჰიდროგეოლოგიური პირობები; საინჟინრო - გეოლოგიური პირობები; გეოდინამიკური საფრთხეების შეფასება, შესაბამისი ზონირების რუკის შემუშავებით.

9. სგშ-ის ანგარიშში ნარჩენების მართვის საკითხები წარმოდგენილი უნდა იყოს ნარჩენების მართვის კოდექსისა და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნების შესაბამისად.
10. სგშ-ის ანგარიშში უნდა აისახოს ინფორმაცია გეგმარებით არეალში არსებული ბუნებრივი საფრთხეების დეტალური შესწავლის და პირველადი ღონისძიებების გატარების შესახებ.
11. სგშ-ის ანგარიშსა და სტრატეგიულ დოკუმენტში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია გეგმარებით ტერიტორიაზე წყალმომარაგებისა და ასევე ჩამდინარე წყლების მართვის საკითხებზე.
12. სგშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც განაშენიანების გეგმარებითი და კონკრეტული ალტერნატივების განხილვა, ასევე, ამ ალტერნატივების შეფასება და შედარება გარემოსა და/ან ადამიანის ჯანმრთელობაზე მათი ზემოქმედების თვალსაზრისით. ალტერნატივების შერჩევა უნდა მოხდეს შემოთავაზებული ალტერნატივების (მათ შორის ნულოვანი ალტერნატივა) გარემოს კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედების ფაქტორის ხარისხის გათვალისწინებით. წარმოდგენილი უნდა იყოს ალტერნატივების შერჩევის მიმოხილვა.
13. სგშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია დაგეგმილი განაშენიანებისას ატმოსფერულ ჰაერზე და გარემოს სხვა კომპონენტებზე შესაძლო ზემოქმედების შესახებ (შესაბამისი პრევენციული და შემარბილებელი ღონისძიებებისა და მონიტორინგის საკითხების მითითებით).
14. სგშ-ის ანგარიშში წარმოდგენილ იქნას ინფორმაცია ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე შესაძლო უარყოფითი ზემოქმედების, მასშტაბების და შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ.
15. სგშ-ის ანგარიშში უნდა იყოს მოცემული ინფორმაცია ანგარიშის მომზადებაში ჩართული ექსპერტების თაობაზე, კვალიფიკაციის მითითებით.
16. სგშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი იყოს ინფორმაცია ლანდშაფტის ტერიტორიების შესახებ, მათ შორის: ტერიტორიის ბუნებრივი მახასიათებლები (რელიეფი, კლიმატი, ჰიდროლოგია, მცენარეული საფარი, ლანდშაფტის ვერტიკალური და ჰორიზონტალური სტრუქტურა); ლანდშაფტის თანამედროვე მდგომარეობა; ზემოქმედების ფორმები და მასშტაბები; მდგრადობა; სოციალურ-ეკონომიკური ფუნქცია; ტერიტორიის კულტურული და ისტორიული მახასიათებლები; ლანდშაფტის ფრაგმენტაცია და ლანდშაფტის სხვა სახის დარღვევები; ცვლილების ძირითადი მამოძრავებელი ძალა; მოსალოდნელი განაშენიანება შემოთავაზებული გეგმის გამოყენების გარეშე; ლანდშაფტის მახასიათებლების შედგენა გეოლოგიურ საფრთხეებთან ან სხვა ბუნებრივ ან/და ადამიანის მიერ წარმოქმნილ სტრესორებთან მიმართებით.
17. სგშ-ის ანგარიშში გათვალისწინებული უნდა იყოს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ასპექტები. სგშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს კლიმატის ცვლილების რისკები და საბაზისო მონაცემების/ინფორმაციის ანალიზი კლიმატის ცვლილების ასპექტებთან დაკავშირებით, აგრეთვე, კლიმატის ცვლილების სავარაუდო ზემოქმედების შეფასების მეთოდოლოგია და ინსტრუმენტები, მაგ., არსებული და სამომავლო სცენარები.
18. სგშ-ის ანგარიშში წარმოდგენილ იქნას შესაბამისი ანალიზის საფუძველზე შემუშავებული კლიმატის საფრთხეების მოწყვლადობის მატრიცა. ასევე, მოცემული

იქნას ინფორმაცია განაშენიანების ტერიტორიაზე ექსტრემალური ამინდის მოვლენებით გამოწვეული ინფრასტრუქტურის დაზიანების თაობაზე.

მოწყვლადობის მატრიცის შესაძლო ფორმატი

გეგმის მგრძობიარე კომპონენტები	შეხება (შესაბამისი კლიმატური ცვლადები და საფრთხეები საპროექტო არეალისთვის, როგორც ამჟამინდელი, ისე სამომავლო, ე.ი. კლიმატის ცვლილების გათვალისწინებით, ინდიკატორული შეფასების რანჟირების შემდეგი დონეებით: დაბალი, საშუალო, მაღალი.			
	სიცხე	გვალვა	წყალდიდობები	...
ფართობი X.x. სასოფლო-სამეურნეო მიწა (მდინარის გასწვრივ)				
დერეფანი Y.x				
დერეფანი Z.x (მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი)				
ფართობი X.z (საცხოვრებელი ტერიტორია, საოჯახო სახლები)				
...				

19. სგშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს საზოგადოების ინფორმირებისა და მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია, თარიღების, განხილული საკითხებისა და სტრატეგიული დოკუმენტის მომზადების პროცესში მიღებული შენიშვნების გათვალისწინების შესახებ, მათ შორის დაინტერესებულ საზოგადოებასთან კონსულტაციის შედეგები.
20. სგშ-ის ანგარიშის მომზადებისას გათვალისწინებული უნდა იყოს „სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სახელმძღვანელო საქართველოს სივრცის დაგეგმარების სექტორისთვის“ რეკომენდაციები და მიდგომები.
21. სგშ-ის ანგარიშში მიეთითოს გამოყენებული ლიტერატურის/წყაროს ნუსხა.

სგშ-ის ანგარიშის მომზადებისას გასათვალისწინებელია შემდეგი საკითხები:

- სგშ-ის ეტაპზე მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია იმის შესახებ იგეგმება თუ არა კონკრეტული პროექტები ტყისა და დაცული ტერიტორიების ფარგლებში. ასევე, სგშ-ს ანგარიშში წარმოდგენილი იყოს დამატებითი ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიის ფარგლებში და მის მიმდებარედ არსებული ბიომრავალფეროვნების სხვადასხვა კომპონენტის, ასევე განაშენიანების გეგმით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებით მოსალოდნელი ზემოქმედების თაობაზე. ამ კუთხით გასათვალისწინებელია შემდეგი: დოკუმენტში, დაცულ ტერიტორიებთან მიმართებით, მითითებულია, რომ საპროექტო ტერიტორია სრულად არის გარშემორტყმული თბილისის ეროვნული პარკით, თუმცა არაფერია ნათქვამი ამავე ფართობზე დამტკიცებულ ზურმუხტის საიტზე (საგურამო (GE0000047)). საჭიროა აღნიშნულის სგშ-ს ანგარიშში ასახვა. ამასთან, წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ არის მითითებული დეტალური ინფორმაცია საგზაო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით საპროექტო ფართობებთან მისასვლელ გზებთან მიმართებით. შესაბამისად, თუ იგეგმება საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა/რეაბილიტაცია უშუალოდ ზურმუხტის საიტზე (საგურამო (GE0000047)) და შესაბამისად, თბილისის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე, **საჭირო იქნება ზურმუხტის ტერიტორიაზე ზემოქმედების შეფასების (ზზშ) ჩატარება**, ასევე სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან შეთანხმება. აღნიშნული საკითხი საჭიროა აისახოს სგშ-ის ანგარიშში.
- სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშში დეტალურად იყოს ასახული უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილების და შერბილების მიზნით ყველა შესაძლო ღონისძიება. მათ შორის, გამოიკვეთოს ის საკომპენსაციო ღონისძიებები, რომლებიც შესაძლოა განხორციელდეს თბილისის ეროვნულ პარკში.
- წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, საპროექტო არეალი მოიცავს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებს. სგშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია მიწის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ნაკვეთების სტატუსის შეცვლის (არასასოფლო-სამეურნეო) საჭიროების შესახებ.
- სგშ-ის ანგარიშში უნდა აისახოს ბიოლოგიურ გარემოზე, მცენარეულ საფარზე და ჰაბიტატების მთლიანობაზე ზემოქმედება, ცხოველთა სამყაროზე ზემოქმედება (მათ შორის წითელი ნუსხის) სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებისას და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები.
- სგშ-ის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს სანიაღვრე წყლების მართვის შესახებ ინფორმაცია, ასევე სანიაღვრე და წყალარინების სისტემების გავლენის შეფასება საპროექტო არეალში არსებული ზედაპირული წყლის ობიექტებზე და მათ ჰიდროლოგიურ რეჟიმებზე, შესაბამისი გაანგარიშებით/მოდელირებით;
- კონცეფციის მიხედვით, ფუნქციური ზონირების ნახაზზე საპროექტო სატრანსპორტო ზონა მოიცავს ორ საპროექტო არეალს შორის არსებულ გრუნტის გზას და გზის მიმდებარედ გამწვანება/სარეკრეაციო ზონას. ხოლო, განაშენიანების მართვის რეგლამენტის თანახმად, გრუნტის გზის მიმდებარედ მინიჭებულია ასევე სზ-1. აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას. ასევე, დაზუსტებას საჭიროებს არსებული გამწვანებული ტერიტორიებისთვის სარეკრეაციო ზონის მინიჭების საკითხი;

- სგშ-ის განცხადებაში, სგშ-ის ანგარიშში, სტრატეგიულ დოკუმენტში და Shp ფაილებში ასახული მიწის ნაკვეთები და მათი ფართობები შესაბამისობაში უნდა იყოს ერთმანეთთან;
- წარმოდგენილ Shp ფაილებში სრულად უნდა იყოს ასახული სტრატეგიული დოკუმენტით გათვალისწინებული გდგ არეალი. მათ შორის გეგმარებითი ნაწილის მეორე უბანში დაგეგმილი კომერციული ზონის (შზ-5) ტერიტორია;
- ფუნქციური ზონირების რუკებიდან ამოღებული უნდა იყოს ისეთი ტერიტორია, რომელიც არ შედის განაშენიანების დეტალური გეგმის საზღვრებში.

სგშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული თითოეული საკითხის გათვალისწინების შესახებ, ერთიანი ცხრილის სახით.

დასკვნითი ნაწილი:

მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მამკოდას განაშენიანების გეგმის (სააგარაკე-საცხოვრებელი უბნის მოწყობა) კონცეფციის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიში სავალდებულოა მომზადდეს სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის შესაბამისად.